საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა თამარ ხურცილავამ მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში მითითებული იყო პოტენციური ხელმძღვანელებისთვის ხელმისაწვდომი კვლევითი პროფილების შექმნის აუცილებლობა. მისი თქმით, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროფილები ხელმისაწვდომია, თუმცა მათი მოძიება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, იგი დაინტერესდა, ნამდვილად აქვს თუ არა დაწესებულებას შემუშავებული და ხელმისაწვდომი აღნიშნული პროფილები.
ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროფილები ნამდვილად იყო მითითებული.

საბჭოს წევრმა ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ სივებთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა დაწესებულების პოზიციისა და სამომავლო გეგმების მოსმენა.
დაწესებულების წარმომადგენელმა თინათინ გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე პირთან დაკავშირებით დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობა, თუმცა უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახდენს პერსონალის სივების განახლებასა და მათი საქმიანობის შეფასებას, არა მხოლოდ სკოლის, არამედ უნივერსიტეტის დონეზეც.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:23
დასრულების დრო: 14:29

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6-}ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

8. მერვე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული პროგრამა (ისტორია- გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება);
საფეხური: ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელის უფლება ისტორიაში, გეოგრაფიასა და სამოქალაქო განათლებაში);
დეტალური სფეროს კოდი: 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით;
კრედიტების რაოდენობა: 300;

9. მეცხრე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია; მათემატიკა; ქიმია; ფიზიკა; ბიოლოგია; ინგლისური ენა) აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია; მათემატიკა; ქიმია; ფიზიკა; ბიოლოგია; ინგლისური ენა)

საფეხური: -
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: N/A;
დეტალური სფეროს კოდი: -
კრედიტების რაოდენობა: 60;

10. მეათე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური); მათემატიკა (დაწყებითი საფეხური); ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა) აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური); მათემატიკა (დაწყებითი საფეხური); ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა)
საფეხური: -
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: N/A;
დეტალური სფეროს კოდი: -
კრედიტების რაოდენობა: 60;

11. მეთერთმეტე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
საფეხური: -
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: N/A;
დეტალური სფეროს კოდი: N/A;
კრედიტების რაოდენობა: 60;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. შესაბამის დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ 11 რეკომენდაციიდან 8 სრულად იყო შესრულებული. ერთი რეკომენდაციის შესრულება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ობიექტურად შეუძლებელი იყო. მეექვსე რეკომენდაციის მიხედვით, უნდა გაუმჯობესებულიყო ელექტრონული სწავლების ბმულები და განახლებულიყო ელექტრონული საკითხავი ლიტერატურის ჩამონათვალი, საერთაშორისო ლიტერატურაზე პირდაპირი წვდომის უზრუნველსაყოფად. დაწესებულებას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ჰქონდა 3 სილაბუსი, რის საფუძველზეც რეკომენდაცია შესრულებულად იქნა მიჩნეული. თუმცა, ვინაიდან რეკომენდაცია მთლიან პროგრამას მიემართებოდა, მისი სრულად შესრულებულად მიჩნევა მსჯელობის საგანია, რადგან ექსპერტს, აღნიშნული 3 სილაბუსის გარდა, სხვა სილაბუსების შეფასების შესაძლებლობა არ ჰქონია.
მეცხრე რეკომენდაცია შესრულებულად ვერ ჩაითვლება, რადგან შესაბამისი მტკიცებულებები არ იყო წარმოდგენილი. რეკომენდაცია ეხებოდა განათლების სფეროში დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო აკადემიური კონკურსის ბმული, თუმცა მისი ვადა გასული იყო. ბმულზე გადასვლისას კონკურსი 5 აგვისტოთი თარიღდებოდა, თუმცა დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განათლების მიმართულებით მიღება 10 აგვისტოს იყო გამოცხადებული. სხვა შესაბამისი ვაკანსიები ვებგვერდზე არ იძებნებოდა.
მეორე პროგრამასთან მიმართებით აღინიშნა, რომ 4 რეკომენდაციიდან პირველი რეკომენდაცია ნაწილობრივ იყო შესრულებული. იგი ეხებოდა სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. ექსპერტთა ჯგუფი ითხოვდა ინტერდისციპლინური სწავლების მოდულების უფრო მკაფიო გამოკვეთას. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების გუნდმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და შეცვალა ფორმულირებები, თუმცა არ ჩანდა, კონკრეტულად რომელი სწავლის შედეგი როგორ შეიცვალა. ამასთან, დოკუმენტში განმარტებული იყო, თუ როგორ აისახებოდა ინტერდისციპლინური სწავლების მიდგომა სწავლის შედეგებში.
მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ინტერდისციპლინური უნარების განვითარების სრულყოფილად შეფასების მიზნით, ექსპერტები ითხოვდნენ დამატებითი დოკუმენტების შემუშავებას, მაგალითად, მიღწევების შეფასების დავალებებისა და მიკროსწავლების სესიების დანერგვას. ექსპერტის შეფასებით, რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია. შესრულების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა 4 სილაბუსი. მათი დეტალური შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ რეკომენდაცია სრულად შესრულებულია სასწავლო კურსში „სწავლება და შეფასება", თუმცა დანარჩენ სამ სილაბუსში ინტერდისციპლინური მიდგომა შეფასების კომპონენტში არ იკვეთება, მიუხედავად იმისა, რომ სწავლების კომპონენტში იგი საკმაოდ მკაფიოდ არის ფორმალიზებული.
მესამე პროგრამასთან მიმართებით აღინიშნა, რომ მესამე რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული. დაწესებულებამ რეკომენდაცია კონკრეტულად გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველებისა და სწავლების მეთოდიკის სილაბუსებში გაითვალისწინა, თუმცა რეკომენდაცია მთლიან პროგრამას მიემართებოდა. ანალოგიურად, ნაწილობრივ არის შესრულებული მეხუთე რეკომენდაციაც. ამ შემთხვევაში რეკომენდაციის შესრულების

დასადასტურებლად შესაბამისი მტკიცებულებები არ იყო წარმოდგენილი. მტკიცებულებად წარმოდგენილია გრაცის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი, რომლის ფარგლებში 10 ადგილია გამოყოფილი.

მეოთხე პროგრამასთან მიმართებით, პირველი რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია. რეკომენდაციის თანახმად, უნდა გადახედილიყო სწავლის შედეგების რუკას, ვინაიდან მეორე სწავლის შედეგის დადასტურება რუკის მიხედვით არ ხდებოდა. ამასთან, სწავლის შედეგებში ორნაწილიანი კურსები ერთიანად არის წარმოდგენილი, რაც მერვე სწავლის შედეგის გაზომვადობას ზღუდავს.

მეექვსე რეკომენდაციაც მეტწილად შესრულებულია. რეკომენდაციის თანახმად, უნდა ჩამოყალიბებულიყო პარტნიორობა ევროპის იმ უნივერსიტეტებთან, რომლებიც სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ. მტკიცებულების სახით დაწესებულებამ წარმოადგინა ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტთან მიმოწერის ამსახველი მასალა, საიდანაც იკვეთება, რომ უნივერსიტეტი მზად არის განიხილოს თანამშრომლობა ინკლუზიური განათლების მიმართულებით, თუმცა ოფიციალური პარტნიორობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის.

მეცხრე რეკომენდაციის თანახმად, დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო გაცვლითი პროგრამები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. მტკიცებულებების ნაწილში კვლავ წარმოდგენილი იყო ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტთან მიმოწერის ამსახველი მასალა, რომელიც მხოლოდ თანამშრომლობის განხილვის მზაობას ადასტურებს.

მეათე რეკომენდაციაც იმავე ჭრილში განიხილება. რეკომენდაციის თანახმად, დაწესებულებას უნდა განეახლებინა და გადაემოწმებინა წიგნების ბმულები. აღნიშნული რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია. დასტურდება, რომ დაწესებულებამ უმეტესწილად განაახლა სასწავლო კურსების საკითხავი მასალა და უცხოენოვანი სამეცნიერო პუბლიკაციები, თუმცა გადამოწმების პროცესში გამოიკვეთა ცალკეული ხარვეზები. კერძოდ, უცხოენოვან ლიტერატურაში ჭარბობს 2010 წლამდე ან მის პერიოდში გამოცემული მასალები, ხოლო ბოლო 5 წლის პუბლიკაციები ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, ზოგიერთი ბმული არავალიდურია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბაია ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა სილაბუსში გაითვალისწინა როგორც სისტემური ცვლილებები, ისე ყველა გაცემული რეკომენდაცია. მისი განმარტებით, წარმოდგენილი სილაბუსები მხოლოდ ნიმუშის სახით იყო შერჩეული, თუმცა თითოეული რეკომენდაცია ასახულია ყველა პროგრამის სილაბუსში. ასევე აღნიშნა, რომ 5 აგვისტოს თარიღთან დაკავშირებული საკითხი ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდა. მისი თქმით, ვაკანსია გამოცხადებულია, საბუთები მიღებულია და ამ ეტაპზე მიმდინარეობს გასაუბრებისა და კანდიდატების შერჩევის პროცესი. ამასთან, რადგან პროგრამა მილევადია, ბევრმა კანდიდატმა თანამშრომლობაზე უარი განაცხადა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბაია ჯაფარიძემ ინტერდისციპლინარულ სწავლებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ პროგრამის დოკუმენტში, სწავლის მიზნების ნაწილში, აღნიშნული მიმართულება მკაფიოდ არ იკვეთება, თუმცა მისი შინაარსი სილაბუსებში ნათლად არის ასახული. ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ ინტერდისციპლინარული სწავლების შინაარსი შეფასების რუბრიკებშიც უნდა ასახულიყო, რასაც დაწესებულებაც ეთანხმება. ამასთან, მისი განმარტებით, არსებობს ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა „სწავლება და შეფასება", რომლის ფარგლებში სტუდენტმა უნდა წარადგინოს ინტეგრირებული საგანმანათლებლო რესურსი, რაც შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს. გარდა ამისა, სტუდენტს მოეთხოვება დაასაბუთოს, რომელ სასწავლო კურსშია შესაძლებელი აღნიშნული რესურსის გამოყენება. მისი შეფასებით, რეკომენდაცია დიდწილად გათვალისწინებულია, თუმცა რეკომენდაციის მიღების შემდეგ, სავარაუდოდ, დაწესებულებამ

სრულად ვერ გაიაზრა ტექსტში ასახული შინაარსობრივი აქცენტები. მან ასევე აღნიშნა, რომ ინტერდისციპლინარული სწავლების მიმართულებით დაწესებულებაში მრავალი აქტივობა ხორციელდება და ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილია შესაბამის დოკუმენტაციაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია ნიაურმა აღნიშნა, რომ უცხოურ უნივერსიტეტებთან გაცვლითი პროგრამების დანერგვის მიზნით აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები. მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ დაწესებულებას ორ სილაბუსში ინტეგრირებული აქვს თვითშეფასების კითხვარი, რომელიც სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს ეფუძნება. კითხვარის შევსების პროცესში სტუდენტები თავად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს და ადგენენ სამოქმედო გეგმას, რომელსაც შემდგომ დამსაქმებელს უზიარებენ. მისი თქმით, დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რეფლექსიის კულტურის განვითარებას და სისტემატურად ახდენს ამ მიმართულების წახალისებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა თეა ნარეკიშვილმა აღნიშნა, რომ ინკლუზიური განათლება მსოფლიოში მეტად აქტუალური მიმართულებაა და, შესაბამისად, მასთან დაკავშირებული კვლევების მოცულობაც საკმაოდ დიდია. მან ყურადღება გაამახვილა ექსპერტის ერთ-ერთ შეფასებაზე, რომელიც კონფერენციების სიმცირესა და სტუდენტების არასაკმარის ჩართულობას ეხებოდა, და დაინტერესდა დაწესებულების პოზიციით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია ნიაურმა აღნიშნა, რომ თავად მიემგზავრებოდა ჩეხეთში აღნიშნულ თემატიკაზე გამართულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. მისი თქმით, გასულ წელს უნივერსიტეტში, საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით, ამ მიმართულებით კონფერენცია ჩატარდა. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება მსგავსი ტიპის კონფერენციებს რეგულარულად მართავს და მათში სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა ბაია ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში აღნიშნული პროგრამა შედარებით ახალია, თუმცა მისი ფუნქციონირების პერიოდში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადაიდგა.
საბჭოს წევრმა შალვა კელეპტრიშვილმა სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული მეათე რეკომენდაციის შესახებ კითხვით მიმართა ექსპერტს. მან აღნიშნა, რომ მეექვსე და მეშვიდე სწავლის შედეგებთან მიმართებით არ ჩანდა სასწავლო კურსი, რომელიც გაცნობის დონეზე გადიოდა; მერვე სწავლის შედეგთან მიმართებით არ იყო წარმოდგენილი კურსები, რომლებიც ცოდნის გაღრმავების დონეს უზრუნველყოფდა, ხოლო მეცხრე სწავლის შედეგთან მიმართებით მხოლოდ განმტკიცების დონეზე არსებული კურსები იკვეთებოდა. მისივე შეფასებით, ერთ-ერთი სასწავლო კურსი, რომელიც მეხუთე სემესტრში ისწავლება, ორ სწავლის შედეგს მხოლოდ გაცნობის დონეზე ფარავს, რაც არარელევანტურად მიაჩნია.
მეორე კითხვა მას ინტერდისციპლინურ პროგრამასთან დაკავშირებით ჰქონდა. მან აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია საკმაოდ დეტალურად არის გაწერილი, თუმცა მისი მოსაზრებით, რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულად არ უნდა შეფასდეს, რადგან ინსტიტუციას რეკომენდაციის საპასუხოდ ამომწურავად აქვს განხორციელებული შესაბამისი ღონისძიებები.
ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული ურთიერთკავშირი შესაძლოა გულისხმობდეს როგორც სხვადასხვა საგნის, ისე ერთი და იმავე საგნის მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას, რის გამოც იგი საკითხის უფრო მკაფიოდ დაკონკრეტებას ითხოვდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:04
დასრულების დრო: 14:18

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის

მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -24
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია; მათემატიკა; ქიმია; ფიზიკა; ბიოლოგია; ინგლისური ენა) წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია; მათემატიკა; ქიმია; ფიზიკა; ბიოლოგია; ინგლისური ენა) წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური); მათემატიკა (დაწყებითი საფეხური); ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა) წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -24
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული

უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური); მათემატიკა (დაწყებითი საფეხური); ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა) წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.
ამასთან, პირველი რეკომენდაცია დარჩა ძალაში და დაწესებულებას ეთხოვა ამის შესახებ ინფორმაციის სამწლიანი ანგარიშის შეფასების პროცესში ასახვა.

12. მეთორმეტე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)" საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით);
საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
დეტალური სფეროს კოდი: 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით;
კრედიტების რაოდენობა: 300;

13. მეცამეტე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: განათლების ადმინისტრირება;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა:
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
პირველი ნაწილი - 60 ECTS კრედიტი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების ადმინისტრირების მაგისტრი.

მეორე ნაწილი - 60 ECTS კრედიტი; მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კვლევის მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში.
დეტალური სფეროს კოდი: 0188 ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას;

14. მეთოთხმეტე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ "განათლების მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: განათლების მეცნიერება;
საფეხური: დოქტორანტურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერების დოქტორი;
დეტალური სფეროს კოდი: განათლების მეცნიერებები;
კრედიტების რაოდენობა: 60;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

ავთანდილ თავხელიძე
თვითაცილება განაცხადა ავთანდილ თავხელიძემ, თვითაცილების მიზეზი - შრომითი ხელშერულება დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. შესაბამის დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეთორმეტე, მეცამეტე და მეთოთხმეტე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ პირველ პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული ოთხივე რეკომენდაცია შესრულებულია. მისი თქმით, მეორე პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციებიც სრულად არის გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.
„განათლების მეცნიერების" სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით ორი რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულად შეფასდა. პირველი რეკომენდაცია ორი კომპონენტისგან შედგებოდა. რეკომენდაციის თანახმად, უნდა გადახედილიყო და განახლებულიყო სასწავლო რუკა, ხოლო ძირითადი სასწავლო გეგმის მეშვეობით უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროგრამის სწავლის შედეგების სრული შესაბამისობა და მიღწევა. ამასთან, მესამე სწავლის შედეგის სრულყოფილად უზრუნველყოფისა და ყოვლისმომცველი შეფასების მიზნით, რეკომენდირებული იყო მრავალმხრივი შეფასების მიდგომების დანერგვა, მათ შორის, სხვადასხვა აუდიტორიისთვის სამეცნიერო წერაზე ორიენტირებული აქტივობების გამოყენება.

მისი განმარტებით, რეკომენდაციის მეორე ნაწილთან მიმართებით დაწესებულებამ განაახლა დოქტორანტის შეფასების სისტემა და დანერგა მრავალმხრივი შეფასების მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების, მათ შორის მესამე შედეგის, სრულ შესაბამისობას. გარდა ამისა, პროგრამას დაემატა მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც დოქტორანტი ვალდებულია სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე გამოაქვეყნოს მინიმუმ ორი სამეცნიერო ნაშრომი.

რაც შეეხება რეკომენდაციის პირველ ნაწილს, ექსპერტის განმარტებით, იგი უფრო ტექნიკურ ასპექტს ეხებოდა და მას არ მიეცა შესაძლებლობა, სრულყოფილად შეეფასებინა აღნიშნული კომპონენტი. შესაბამისად, რეკომენდაციას სრულად შესრულებულად ვერ მიიჩნევდა.

ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი ცალსახად მოითხოვდა პროგრამის სტრუქტურის ცვლილებას და სწორედ ამიტომ შეფასდა მეტწილად შესრულებულად. აღნიშნული რეკომენდაცია აკრედიტაციის პროცესში საბჭოს მიერ იყო დამატებული. ცვლილება ეხებოდა დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების მეთოდოლოგიას, რაც უკვე აისახა პროგრამაში. თუმცა, მისი თქმით, პროგრამის სტრუქტურა არსებითად არ შეცვლილა და მხოლოდ არჩევითი კომპონენტის მოცულობა შემცირდა 6 კრედიტამდე.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ პროგრამა ჯამში 60 კრედიტისგან შედგება, საიდანაც 18 კრედიტი სავალდებულო, ხოლო 30 კრედიტი პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებია. რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულად შეფასდა, რადგან პროგრამა სტუდენტს კვლავ აძლევს შესაძლებლობას, 60 კრედიტიდან 30 კრედიტის ფარგლებში სასწავლო კურსები სხვა სადოქტორო პროგრამებიდან აირჩიოს. მისი შეფასებით, თუ სტუდენტს აღნიშნული შესაძლებლობა არ ექნება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სრულად პროგრამის ჩარჩოებში ჩამოყალიბდება, დაწესებულების მიდგომა რეკომენდაციის მოთხოვნებს სრულად უპასუხებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარიკა კაპანაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული მექანიზმი საკმაოდ საინტერესოა და შინაარსობრივი თვალსაზრისით სრულად პასუხობს რეკომენდაციებს. მისი თქმით, ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს, არის კურიკულუმში დამატებით ერთი პუნქტის შეტანა. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, მან განმარტა, რომ 30 კრედიტის ფარგლებში მოიაზრება მომიჯნავე პროგრამები, ვინაიდან განათლება ინტერდისციპლინური მიმართულებაა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაში 30 კრედიტი თავისუფალ კრედიტებს არ წარმოადგენს. მისი განმარტებით, აღნიშნული კრედიტების შევსება, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მხოლოდ მომიჯნავე დარგიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა შალვა კელეპტრიშვილმა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია კვლევით მიმართულებას ეხებოდა. მისი შეფასებით, რეკომენდაციის მეორე ნაწილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ექსპერტის მიერ მასზე ყურადღება არ გამახვილებულა. შესაბამისად, იგი დაინტერესდა ექსპერტის მოსაზრებით აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ რეკომენდაციის აღნიშნული ნაწილი კვლევით კომპონენტს მიემართებოდა, შესაბამისად, საჭიროა დაწესებულებამ ეს საკითხი მკაფიოდ ასახოს და შესაბამის დოკუმენტაციაში სწორი ჩანაწერი გაკეთდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარიკა კაპანაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტს, ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე, შეუძლია საკუთარი კვლევის საჭიროებებიდან გამომდინარე აირჩიოს შესაბამისი სასწავლო კურსები და აღნიშნული არჩევითი კრედიტები სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ დოქტორანტი ვალდებულია აღნიშნული ბლოკიდან მინიმუმ 6 კრედიტი აითვისოს. მისი განმარტებით, დოქტორანტმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს საკუთარი საკვლევი თემა და განსაზღვროს, რომელი სასწავლო კურსები იქნება მისთვის რელევანტური. სწორედ ამ მიზნით თითოეული დოქტორანტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:45
დასრულების დრო: 15:29

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ "განათლების მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად,სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ"განათლების მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

15. მეთხუთმეტე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები)" საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები);
საფეხური: -
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: N/A;
დეტალური სფეროს კოდი: N/A;
კრედიტების რაოდენობა: 60;

16. მეთექვსმეტე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების "საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა)" საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა;
საფეხური: -
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: N/A;
დეტალური სფეროს კოდი: N/A;
კრედიტების რაოდენობა: 60;

17. მეჩვიდმეტე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)" საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა,

რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)
საფეხური: -
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: N/A;
დეტალური სფეროს კოდი: N/A;
კრედიტების რაოდენობა: 60;

18. მეთვრამეტე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
საფეხური: -
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: N/A;
დეტალური სფეროს კოდი: N/A;
კრედიტების რაოდენობა: 60;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

ავთანდილ თავხელიძე თვითაცილება განაცხადა ავთანდილ თავხელიძემ, თვითაცილების მიზეზი - შრომითი ხელშერულება დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. შესაბამის დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საკითხების ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა რევაზ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ პირველ სამ პროგრამაზე გაცემული იყო 3 იდენტური რეკომენდაცია და მეოთხეში მხოლოდ ერთი. ექსპერტის აზრით, შესრულებულია ყველა რეკომენდაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს შეკითხვები არ ჰქონდათ

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 15:38
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები)" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები)" წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების "საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა)" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების "საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა)" წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)" წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სპეციალური მასწავლებლის მომზადების წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:05 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე